

მეორე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი

თარიღი: 26 მარტი, 2012 წელი

დრო: 16:00- 17: 30 საათი

შეხვედრის ადგილი: ევროპის სახლი

მეორე სამუშაო ჯგუფის შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ოლეგ შატბერაშვილი - gfid@caucasus.net
2. ნინო ელიზბარაშვილი - wbus@caucasus.net
3. დავით ნარმანია - davit.narmania@ciesr.org
4. შოთა მურღულია - shota@csrdg.ge
5. ვახტანგ კობალაძე - vkobaladze@epfound.ge
6. ეკა ჯანაშია - ejanashia31@gmail.com
7. ლევან სისვაძე - levani_sisvadze1986@yahoo.com
8. შორენა კაპანაძე - social@redcross.ge
9. თენგიზ შერგელაშვილი - tesher@ei-lat.ge
10. გივი ქოჩორაძე - [gpe@ip.osgf.ge](mailto:gep@ip.osgf.ge)

განსახილველი საკითხები

1. ინფორმაცია განახლებულ სამუშაო ჯგუფის შესახებ - დავით ნარმანია
2. ვებ-გვერდის განახლების და ფუნქციონირების საკითხები - დავით ნარმანია
3. ინფორმაცია 2012 წლის 16 მარტს ქ. ბრიუსელში აღმოსავლეთ ევროპის პარტნიორობის ეკონომიკური ინტეგრაციის სამთავრობო ჯგუფის შეხვედრის შესახებ (სოციალური უსაფრთხოების პოლიტიკა და საპენსიო ფონდები) - პაატა ბელთაძე
4. ინფორმაცია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების (DCFTA) საქართველოზე გავლენის შეფასების შესახებ (<http://trade.ec.europa.eu/consultations/>) - პაატა ბელთაძე

5. წინადადებები და ინიციატივები საქართველოს ეროვნული პლატფორმის მე-2 სამუშაო ჯგუფის სამოქმედო გეგმის მომზადებასთან დაკავშირებით - ჯგუფის წევრები
6. სხვა საკითხები - ჯგუფის წევრები

სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გახსნა ჯგუფის კოორდინატორმა და წევრებს წარუდგინა მათთვის წინასწარ გაგზავნილი დღის წესრიგის მონახაზი - საკითხთა ჩამონათვალი უფრო დეტალური განმარტებით. რადგანაც ჯგუფის შეხვედრას ავადმყოფობის გამო ვერ ესწრებოდა ერთ-ერთი კოორდინატორი (პაატა ბელთაძე), რომელსაც მოხსენება უნდა გაეკეთებინა მესამე საკითხზე, მეორე კოორდინატორის ინიციატივით და ჯგუფის წევრების თანხმობით ეს საკითხი ამოიღეს დღის წესრიგიდან. წევრები შეთანხმდნენ, რომ კოორდინატორი პ. ბელთაძე აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით წერილობით მოხსენებას გამოაგზავნის ჯგუფის საერთო ელ-ფოსტაზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, შემდგომ შეხვედრაზე მას დეტალურად განიხილავს და უპასუხებს ამ თემასთან დაკავშირებით წამოჭრილ კითხვებს.

ჯგუფის ერთ-ერთი წევრის ინიციატივით დღის წესრიგის მეექვსე პუნქტს "სხვა საკითხები" ჩაემატა ერთი ქვეპუნქტი - პლატფორმის გაერთიანების კონკრეტული მიზნებისა და ამოცანების შესახებ. შესწორებების შეტანის შემდეგ, დამსწრეთა სრული შემადგენლობის თანხმობით დღის წესრიგი დამტკიცდა.

აღსანიშნავია, რომ მე-2 ჯგუფისთვის ეს გახლდათ საერთო კრების შემდეგ პირველი შეხვედრა. შესაბამისად, შეხვედრის ნაწილი ძირითადად ინფორმაციული და გაცნობითი ხასიითის იყო. კოორდინატორმა ჯგუფის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია პლატფორმის წევრი ორგანიზაციების რაოდენობის, რეგისტრაციის ახალი ფორმების, სიების განახლებისა და მონაცემთა ბაზის შევსების მიზნით ჩატარებული სამუშაოების, ასევე პლატფორმაში წევრობის კრიტერიუმების, მეორე ჯგუფის წევრთა შემადგენლობის, კვორუმისა და სხვა ორგანიზაციული საკითხების შესახებ. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ იმ ორგანიზაციებს, ვინც აქამდე არ გაიარა ხელახალი რეგისტრაცია, ავტომატურად, დროებით შეუჩერდათ წევრობის უფლება.

ყურადღება ასევე გამახვილდა პლატფორმის განახლებულ ვებ-გვერდზე www.eapnationalplatform.ge, იქ განთავსებულ სიახლეებსა და დოკუმენტებზე. კოორდინატორმა, მადლობა გადაუხადა ვებ-გვერდის ადმინისტრირებისათვის უჩა ნანუაშვილს და ლია თოდუას. მან წევრ ორგანიზაციებსაც მოუწოდა საინტერესო ინფორმაციის, მათი პუბლიკაციების, მიმართვების და ევროკავშირთან დაკავშირებული პროექტების ფარგლებში ჩატარებული კვლევების განთავსებისკენ.

ტექნიკური საკითხების განხილვის შემდეგ, ჯგუფის წევრებმა წარმოადგინეს თავიანთი ორგანიზაციები და მათი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები.

შეხვედრაზე შემდეგ საკითხად განიხილეს ინფორმაცია საქართველოზე ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების (DCFTA) გავლენის შეფასების თაობაზე. როგორც კოორდინატორმა ჯგუფის წევრებს აცნობა, ამ მხრივ პროცესები ორი მიმართულებით განვითარდა: 1) ევროკავშირის მიერ დაწყებულ კონსულტაციებთან და 2) ევროკავშირის მიერ გამოცხადებული დახურულ ტენდერთან დაკავშირებით. კოორდინატორმა ორივე მიმართულება ინდივიდუალურად განიხილა.

პირველი მიმართულების ფარგლებში, ევროკავშირმა დაიწყო კონსულტაციები DCFTA–თან დაკავშირებით და ოფიციალურ ვებ-გვერდზე განათავსა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს მიმდინარე წლის 24 აპრილამდე გააგზავნოს გარკვეული მოსაზრებები და შენიშვნები როგორც მოსამზადებელი პერიოდის, ასევე უშუალოდ ხელშეკრულების შესახებ, რადგან ევროკომისიის განცხადებით, ძალიან მნიშვნელოვანია მიმდინარე პროცესებში ყველა მხარის წინადადებების გათვალისწინება.

მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ევროკომისიამ შეადგინა საკმაოდ მოცულობითი და დეტალური (8 გვ.–იანი) კითხვარი, რომელიც დაყოფილია სექციების მიხედვით და აერთიანებს სხვადასხვა თემებს: A სექცია მოიცავს საქონლის ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხებს, B სექცია ეხება მომსახურებით ვაჭრობას და ინვესტიციებს, C სექცია მოიცავს მარეგულირებელ ნორმებს, მათ შორის ინტელექტუალური საკუთრების დაცვას, კონკურენციასა და სახელმწიფო შესყიდვებს, D სექცია კი ეხება მდგრად განვითარებას. გარდა იმისა, რომ მოცემულია დეტალური კითხვები, ევროკომისია მზად არის მიიღოს ნებისმიერი საინტერესო მოსაზრება, შენიშვნა, არგუმენტაცია თუ წინადადება აღნიშნულ თემებთან დაკავშირებით. შესაძლებელია კითხვა–პასუხის რეჟიმშიც მიმოწერა (დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ <http://trade.ec.europa.eu/consultations/>).

კითხვარის შინაარსობრივი მიმოხილვის შემდეგ ჯგუფის წევრებმა შეთანხმდნენ DCFTA–ის შესახებ წინადადებების და შეფასების გაგზავნაზე არა ინდივიდუალურად ორგანიზაციების, არამედ მთლიანი ჯგუფის სახელით. გადაწყდა, რომ 12-13 აპრილისათვის ყველა მსურველი ორგანიზაცია მთელ ჯგუფს გაუგზავნის თავის მოსაზრებებს და შეფასებებს, ხოლო ჯგუფის კოორდინატორები შეაჯერებენ ამ ინფორმაციას, მისცემენ საერთო დოკუმენტის სახეს და გაგზავნამდე **(24 აპრილამდე) სამუშაო ჯგუფის შემდეგ შეხვედრაზე გაიმართება საერთო განხილვა.**

რაც შეეხება მეორე მიმართულებას, 2011 წლის ზაფხულში ევროკავშირმა გამოაცხადა დახურული ტენდერი, რომელშიც გაიმარჯვეს ECORYS-ის და CASE-ის კონსორციუმებმა. ისინი მოამზადებენ კვლევას, რომლის მიზანია დაადგინოს თუ რა გავლენას იქონიებს

თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება საქართველოზე (და მოლდოვაზე. ამ ორგანიზაციებმა მსგავსი დოკუმენტი უკვე გააკეთეს უკრაინისათვის). არა მარტო სახელისუფლებო სტრუქტურების, არამედ სამოქალაქო სექტორის მოსაზრებების მიწოდების უზრუნველსაყოფად და შესაბამისად, თანამშრომლობის გასაღრმავებლად, დამსწრეები შეთანხმდნენ ამ კონსორციუმების ქართველ პარტნიორ ორგანიზაციებთან დაკავშირებაზე.

ECORYS-მა და CASE-მა განათავსა კითხვარი მათ მიერვე ცოტა ხნის წინ ამოქმედებულ ვებ-გვერდზე (კოორდინატორი დაპირდა დამსწრეებს ამ ვებ-გვერდის მისამართის გაგზავნას შეხვედრის შემდეგ, <http://tsia.ecorys.com/georgia/>). ამ კითხვარის მიზანია DCFTA-თან დაკავშირებული მოლოდინებისა და განწყობების კვლევა, იმ დროს როცა ზემოთ აღნიშნული ევროკომისიის კითხვარი უფრო ღრმაა და ხედვების და საჭიროებების კვლევას ემსახურება. ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, ECORYS-ის და CASE-ის კითხვარი შესაძლებელია შეივსოს ინდივიდუალურად თითოეული ორგანიზაციის მიერ.

ჯგუფის წევრებმა შემდეგ საკითხად განიხილეს სამუშაო ჯგუფის წლის სამოქმედო გეგმა. როგორც შეთანხმდნენ, ჯგუფის კოორდინატორების მიერ შაბლონის გაგზავნის შემდეგ, ჯგუფის წევრები წარმოადგენენ თავიანთ წინადადებებსა და ინიციატივებს ელექტრონული ფორმატით. ისევე როგორც ჯგუფის მომდევნო შეხვედრაზე, სადაც განხილვის შედეგად უნდა დამტკიცდეს ჯგუფის სამოქმედო გეგმა.

შეხვედრის ბოლოს ჯგუფის წევრებმა მოკლედ მიმოიხილეს პლატფორმის მიზნები, ამოცანები და ის შესაძლებლობები, რასაც პლატფორმის წევრობა აძლევს ორგანიზაციებს. დასახელდა პლატფორმაში გაწევრიანების არაერთი დადებითი მხარე, როგორცაა, მაგალითად, მეტი კომუნიკაცია, მოსაზრებებისა და ინფორმაციის გაცვლა, სექტორის ხედვების დაფიქსირება, წონალობა ევროკავშირთან. კოორდინატორმა ასევე უპასუხა დაფინანსებასთან დაკავშირებულ კითხვებს. როგორც აღინიშნა, თავად პლატფორმას არ აქვს გრანტის მიღების უფლება, რადგან არ არის დარეგისტრირებული, როგორც იურიდიული პირი. თუმცა, მის წევრ ორგანიზაციებს შეუძლიათ საპროექტო განაცხადების მომზადება ინდივიდუალურად ან კონსორციუმების სახით.

დაახლოებით ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ სამუშაო ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

დავით ნარმანია

მე-2 ჯგუფის კოორდინატორი

სალომე ბულია

სხდომის მდივანი